საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.05.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 034/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. კ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 04 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. თ. ც.-მ მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 30 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაში და დაადასტურა წერილობით საჩივარში აღწერილი გარემოებები. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 07 სექტემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაში, სადაც კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი საჩივარში აღწერილ ფაქტობრივ გარემობებს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2008 წლის 30 აპრილს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა მისი მეუღლე - გ. დ. აღნიშნულ საქმეზე მას, როგორც გარდაცვლილის მეუღლეს, მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნულ

საქმეზე სამართლებრივი დახმარების მისაღებად მისმა მამამთილმა - მ. დ.-მ მიმართა ადვოკატ ზ. ნ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. დ.-მ ჰონორარის სახით, ნაღდი ანგარიშსწორების გზით, ადვოკატ ზ. ნ.-ს გადაუხადა 1000 აშშ დოლარი. მხარეთა შეთანხმებით, საქმის დასრულებისას მ. დ.-ს ადვოკატისათვის დამატებით 1000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ზ. ნ.-ის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, რის გამოც ის ვერ მიიღებდა მონაწილეობას მათი საქმის წარმოებაში. მ. დ.-ს დაუკავშირდა მათი ნაცნობი მ. ს. და შესთავაზა ზ. ნ. სხვა ადვოკატით ჩაენაცვლებინათ. მ. ს.-მ შესთავაზა მ. დ.-ს, რომ მისი ინტერესების დაცვას განაგრძობდა ადვოკატი ს. კ. იმ პირობით, რომ მას პრეტენზია არ ექნებოდა ადვოკატ ზ. ნ.-ის მიმართ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2011 წლის 10 ნოემბერს ს. კ.-სა და მ. დ.-ს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა დაზარალებული თ. ც.-ს ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის N---- საქმეზე და მისი წარმომადგენლობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. ადვოკატმა ს. კ.-მ მოითხოვა ჰონორარი - 1000 აშშ დოლარი, რაც ნაღდი ანგარიშსწორების გზით სრულად გადაუხადა მ. დ.-მ.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. კ. პირდებოდა მას და მ. დ.-ს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოება მათ სასარგებლოდ დასრულდებოდა და აძლევდა გარანტიას საქმის შედეგზე.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. კ. მას და მ. დ.-ს აწვდიდა ინფორმაციას რომ საქმე ევროპულ სასამართლოში ჯერაც მიმდინარე იყო და ელოდებოდნენ პროცესის ჩანიშვნას. 2014 წელს, ადვოკატმა მ. დ.-ს მოსთხოვა ბრალდებულის გამოკითხვის ოქმი, გამოართვა ოქმის თარგმნის საფასური და განუმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი აუცილებლად უნდა გაეგზავნათ ევროპულ სასამართლოში, ვინაიდან წარმოადგენდა მნიშვნელოვან მტკიცებულებას.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის დეკემბრის თვეში მ. დ.-მ ევროპულ სასამართლოში გააგზავნა წერილი, საქმის მდგომარეობის გაგების მიზნით, საიდანაც 2022 წლის 10 იანვარს მიიღეს პასუხი, რომ თ. ც.-ს სახელით წარდგენილი საჩივარი (საქმე N----) 2013 წელს განიხილა ევროპულმა სასამართლომ და ამავე წლის 29 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის მიუღებლად ცნობის შესახებ. 2022 წლის 10 ნოემბრის წერილის მიხედვით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 2013 წლის 05 სექტემბერს გაეგზავნა ადვოკატ ს. კ.-ს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი წლების განმავლობაში (2013 წლიდან 2022 წლის მარტამდე) აწვდიდა მცდარ ინფორმაციას მასსა და მისი ოჯახის წევრებს; ადვოკატმა არ აცნობა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეწყდა მათი საქმისწარმოება; მიზანმიმართულად არასწორი მოლოდინები შეუქმნა მათ, რითიც დაარღვია ადვოკტთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები, რის გამოც ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას.

2. საჩივრის ავტორის მოწმის მერაბ დარბაიძის პოზიცია:

2.1 მოწმე მ. დ., რომელიც არის საჩივრის ავტორის - თ. ც.-ს მამამთილი, გამოიკითხა 2022 წლის 30 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, სადაც დაადასტურა საჩივარში აღწერილი გარემოებები.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატს გადაუხადა ჰონორარი - 1000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც ადვოკატი ს. კ. დაპირდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმე მათ სასარგებლოდ დასრულდებოდა. მოწმის განცხადებით, ადვოკატი 2013 წლიდან ატყუებდა და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის შედეგის შესახებ. მოწმემ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ევროპული სასამართლო საქმეების სიმრავლის გამო საჩივრების ძალიან ნელა იხილავდა და იცოდა, რომ მათი საჩივრის განხილვას რამდენიმე წელიწადი დასჭირდებოდა.

2.3 მოწმის განმარტებით, რამდენიმე წელიწადის გასვლის შემდეგ, ადვოკატის არგუმენტაციები აღარ იყო დამაჯერებელი და საქმეზე ინფორმაციის მიღების მიზნით, გადაწყვიტა თავად მიემართა ევროპული სასამართლოსთვის. 2021 წლის დეკემბერში გაგზავნილი წერილის პასუხად, 2022 წლის მარტში მიიღო შეტყობინება, რომ მათი საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა 2013 წელს და ამავე წლის აგვისტოს თვეში მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის მიუღებლად ცნობის თაობაზე, რომელიც 2013 წლის 05 სექტემბერს გაეგზავნა მათ წარმომადგენელს - ს. კ.-ს.

2.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა გამიზნულად შეიყვანა შეცდომაში, დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და კლიენტს არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2022 წლის 10 მაისს ადვოკატმა ს. კ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ საჩივარში აღწერილი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი ს. კ. დაესწრო ეთიკის კომისიის 2022 წლის 30 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომას.

3.2 ადვოკატმა დაადასტურა, რომ 2010 წლის 10 ნოემბერს მასსა და მ. დ.-ს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მას ევალებოდა თ. ც.-ს ინტერესების დაცვა N--- სისხლის სამართლის საქმეზე. ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენდა თ. ც.-ს სახელით საჩივრის შედგენა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენა. 2022 წლის 30 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ს. კ.-მ განმარტა, რომ მართალია, ხელშეკრულებით მას მხოლოდ საჩივრის დაწერა და ევროპულ სასამართლოში გაგზავნა ევალებოდა, თუმცა ის მზად იყო თ. ც.-სთვის ევროპულ სასამართლოშიც გაეწია წარმომადგენლობა.

3.3 ადვოკატმა ს. კ.-მ 2022 წლის 30 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ როდესაც, 2013 წელს მიიღო პასუხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან, მან ტელეფონით აცნობა მ. დ.-ს შედეგი. ამის შემდეგ, მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა გაგრძელდა საქართველოში სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით.

3.4 ადვოკატ ს. კ.-ს განმარტებით, საჩივრის ავტორი და მ. დ. სრულად იყვნენ ინფორმირებულები ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი საქმის შედეგზე და მათი მოთხოვნის შესაბამისად,

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულებისას გადაეცათ როგორც ევროპული სასამართლოს წერილი, ისე სისხლის სამართლის საქმის მასალები.

3.5 ადვოკატ ს. კ.-ს განმარტებით, კლიენტისათვის საქმის შედეგებზე გარანტია არ მიუცია.

3.6 ადვოკატი ს. კ. ესწრებოდა 2022 წლის 07 სექტემბრის განხილვის კოლეგიის სხდომას, სადაც ადვოკატმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მის მიერ წერილობით ახსნა-განმარტებაში ასახული პოზიცია. ადვოკატმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მას მხოლოდ საჩივრის მომზადება და გაგზავნა ევალებოდა. აღნიშნული ვალდებულება ადვოკატმა შეასრულა და საქმის რეკვიზიტები გადასცა კლიენტს, რომ მას შეძლებოდა საჩივარზე ინფორმაციის გადამოწმება. ევროპულ სასამართლოში მხარის წარმომადგენლობა ან სხვა რაიმე მოქმედების შესრულება ადვოკატს არ ევალებოდა, თუმცა მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში ამ ვალდებულებასაც შეასრულებდა.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

4.1 საპროცესო კოლეგიამ 2020 წლის 30 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატ ს. კ.-ის მიერ დარღვეული შეიძლება იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით (ეთიკის კოდექსი) დაცული კლიენტის ინფორმირების (ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი) სტანდარტი, იმ შემთხვევაში, თუ განხილვის ეტაპზე დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ს. კ.-მ არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში შეწყდა მათი საქმისწარმოება 2013 წელს, რის შესახებაც კლიენტმა დამოუკიდებლად შეიტყო 2022 წელს.

4.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ს. კ.-ის მიერ არ არის დარღვეული კლიენტისათვის გარანტიის მიცემის აკრძალვის ვალდებულება (ეთიკის კოდექსის 8.3 მუხლი), რადგან საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია დასახელებული პრეტენზიის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

5.1 ადვოკატი ს. კ. თ. ც.-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა სისხლის სამართლის საქმეზე და კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ადვოკატს ევალებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად შეედგინა და გაეგზავნა საჩივარი, კლიენტის სახელით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

მხარეთა შორის 2011 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ, მე-2 მუხლი.

5.2 ადვოკატმა ს. კ.-მ მოამზადა საჩივარი, გააგზავნა ის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და კლიენტს მიაწოდა საქმის რეკვიზიტები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს 2012 წლის 11 იანვრის წერილი ადვოკატ ს. კ.-ის მიმართ.

5.3 ადვოკატმა ს. კ.-მ 2013 წლის 5 სექტემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოდან მიიღო წერილი, სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ თ. ც.-ს საჩივრის მიუღებლად ცნობის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს 2013 წლის 5 სექტემბრის წერილი.

5.4 ადვოკატ ს. კ.-სა და თ. ც.-ს შორის სამართლებრივი ურთიერთობა გაგრძელდა 2022 წლამდე. ადვოკატი კვლავ შიდასახელმწიფოებრივ მექანიზმებს მიმართავდა კლიენტის ინტერესების დასაცავად, კერძოდ, კლიენტის ინტერესების დასაცავად განცხადებებით მიმართა საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს პარლამენტს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

5.5 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტებია:

5.5.1 ევალებოდა თუ არა ადვოკატ ს. კ.-ს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ თ. ც.-სთვის ინფორმაციის მიწოდება.

განხილვის კოლეგიამ გაიზიარა ადვოკატ ს. კ.-ს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მას არ ევალებოდა საჩივრის ავტორისათვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ვინაიდან ადვოკატის მოვალეობას მხოლოდ საჩივრის დაწერა და ევროპულ სასამართლოში გაგზავნა წარმოადგენდა, რაც ადვოკატმა ჯეროვნად შეასრულა. განხილვის კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაეყრდნო წერილობით ხელშეკრულებას საადვოკატო მომსახურების შესახებ, რომლის მეორე მუხლში დაკონკრეტებულია ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები და დგინდება, რომ მხარეთა შორის 2011 წელის 10 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ადვოკატის მიერ N--- სისხლის სამართლის საქმეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში წარსადგენად საჩივრის შედგენა და გაგზავნა.

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატ ს. კ.-ს არ ევალებოდა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმეზე საჩივრის ავტორისათვის ინფორმაციის მიწოდება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა შორის 2011 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ, მე-2 მუხლი.

ადვოკატის ახსნა-განმარტება.

5.5.2 შეატყობინა თუ არა ადვოკატმა ს. კ.-მ კლიენტს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ც.-ს საჩივრის მიუღებლად ცნობის შესახებ.

განხილვის კოლეგიამ გაიზიარა ადვოკატ ს. კ.-ს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 10 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების მეორე მუხლის გათვალისწინებით, კლიენტს დამოუკიდებლად უნდა გადაემოწმებინა საქმის სტატუსი, 2013 წელს ადვოკატმა ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს საქმის შეწყვეტაზე და სრულად დაუბრუნა მას საქმის მასალები. განხილვის კოლეგიის პოზიციით, საჩივრის ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა დამოუკიდებლად, ნებისმიერ დროს გადაემოწმებინა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმის სტატუსი, ვინაიდან ადვოკატისაგან მიღებული ჰქონდა საქმისწარმოების რეკვიზიტები, მათ შორის საჩივრის ნომერი. საჩივრის ავტორისათვის ცნობილი იყო 2011 წლის 10 ნოემბრის ხელშეკრულების არსებითი პირობები, შესაბამისად მან ზუსტად იცოდა რა საპროცესო მოქმედებების განხორციელებას მოიცავდა ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები. ამასთან, ის ფაქტი, რომ კლიენტმა 2013 წლის შემდეგაც გააგრძელა ადვოკატ ს. კ.-სთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კლიენტთან შეთანხმებით და საჩივრის ავტორის თანხმობით, ადვოკატი კვლავ მიმართავდა შიდასახელმწიფოებრივ მექანიზმებს, მათ შორის განცხადებები წარადგინა პროკურატურასა და პარლამენტში, მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ კლიენტი ფლობდა ინფორმაციას ევროპულ სასამართლოში მიმდინარე პროცესების შესახებ და გამოთქვამდა თანხმობას ადვოკატს კვლავ შიდასახელმწიფოებრივი რესურსების გამოყენებით დაეცვა კლიენტის უფლებები.

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ადვოკატმა ს. კ.-მ საჩივრის ავტორს მიაწოდა ინფორმაცია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

2020 წლის 01 ოქტომბრის ორდერი N---.

საქმის მასალების შესწავლით, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ს. კ.-ს 2011 წლის 10 ნოემბრის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლების გათვალისწინებით, მას არ ევალებოდა საჩივრის ავტორის ინფორმირება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების

თაობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, განხილვის კოლეგიის პოზიციით, ადვოკატმა ს. კ.-მ საჩივრის ავტორს აცნობა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ საჩივარზე საქმის შედეგი.

შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. კ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 დასახელებულ საქმეზე, დისციპლინური საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნა დაწყებულია ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების ეთიკური სტანდარტის შესაძლო დარღვევაზე („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 და ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლები).

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

5.2 პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.3 საპროცესო კოლეგიის პოზიციით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა ს. კ.-მ არ აცნობა კლიენტს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. სადავო ფაქტს წარმოადგენს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შეუტყობინებლობა.

5.4 განხილვის კოლეგია არ იზიარებს საპროცესო კოლეგიის შეფასებას. საქმის განმხილველი კოლეგიის პოზიციით, სანამ ეთიკის კომისია იმსჯელებს ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების სადავო ფაქტთან მიმართებით დარღვევაზე, მნიშვნელოვანია, რომ დეტალურად შეფასდეს ადვოკატ-კლიენტს შორის 2011 წლის 10 ნოემბერს დადებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და დადგინდეს მხარეთა შეთანხმებით, როგორი იყო ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები: რა ვალდებულებების შესრულება ევალებოდა ადვოკატს და რა არ შეასრულა მან. თ. ც.-სა და ადვოკატ ს. კ.-ს შორის 2011 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით მკაცრადაა განსაზღვრული ხელშეკრულების არსებითი პირობები, კერძოდ, მხარეთა ვინაობა, საადვოკატო

მომსახურების საგანი და საფასური. ხელშეკრულების მეორე მუხლით დაზუსტებულია, რომ ადვოკატ ს. კ.-ს თ. ც.-ის ინტერესები უნდა დაეცვა სისხლის სამართლის N--- საქმეზე. კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, კერძოდ, ადვოკატს უნდა შეედგინა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში გადასაგზავნი საჩივარი, ზემოთ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე და გადაეგზავნა ის დაზარალებულის სახელით. მხარეთა განმარტებით, ადვოკატს აღნიშნული ვალდებულება სრულად აქვს შესრულებული, რის შემდეგაც ადვოკატმა კლიენტს გადასცა საქმის რეგისტრაციის ნომერი და ის რეკვიზიტები, რაც აუცილებელი იქნებოდა საქმეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების გადასამოწმებლად. განხილვის კოლეგიის შეფასებით, აღნიშნული მოქმედებების განხორციელებით ადვოკატმა 2011 წელს ამოწურა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოებასთან დაკავშირებით მას სხვა მოქმედებების განხორციელება არ ევალებოდა.

5.5 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც დამოუკიდებლად, საკუთარი კვალიფიკაციის მიხედვით განსაზღვრავს საადვოკატო მომსახურებისა და მის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედების საფასურს. მხარეთა შორის 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ადვოკატს ევალებოდა საჩივრის შედგენა და გაგზავნა. აღნიშული ინტელექტუალური შრომის ანაზღაურება შეთანხმებული იყო მხარეთა შორის. კლიენტს ადვოკატისათვის სრულად აქვს გადახდილი საადვოკატო მომსახურების საფასური - 1665 ლარი, რაც მოიცავდა ორივე მოქმედების განხორციელებას და რაც ადვოკატის მიერ განხორციელდა იმავე წელს. ხელშეკრულების არსებითი პირობების მისაღებობა და მხარეთა ნება ხელშეკრულების არსებული პირობებით დადებაზე დამოწმებულია წერილობით - მხარეთა ხელმოწერებით.

5.6 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ „მაშინ, როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადაო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე 166/18, პარ. 6.4).

5.7 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 10 ნოემბერს შედგენილ ხელშეკრულებაში არ შესულა ცვლილებები და დამატებები და მხარეთა შორის არც ახალი ხელშეკრულება დადებულა, სადაც განსხვავებულად იქნებოდა მითითებული ხელშეკრულების არსებითი პირობები და ხელშეკრულების საგანი. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ადვოკატ ს. კ.-ს ევალებოდა გაგზავნილ საჩივარზე თვალყურის დევნება და შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადაო ფაქტის დადგენისას და მხარის განმარტებების დაპირისპირებისას წერილობით ხელშეკრულებასთან, თან როდესაც განმარტების მიცემიდან გასულია არაერთი წელი, წერილობით ხელშეკრულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მით, უფრო, რომ საჩივრის ავტორი ფლობდა საქმის რეკვიზიტებს და ნებისმიერ დროს შეეძლო გადაემოწმებინა რა ეტაპზე იყო ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოება. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საჩივრის ავტორმა 2022 წელს თავად გააგზავნა წერილი

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, საქმეზე ინფორმაციის მიღების მიზნით, საიდანაც საჩივრის ავტორს გამოეგზავნა საჩივრის ნომერი, რაც შესაძლებლობას აძლევდა მომჩივანს გამოეთხოვა ინფორმაცია დაინტერესების შემთხვევაში. ამასთან, 2013 წელს საჩივრის ავტორმა თავად მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დეტალური ინფორმაცია და ინსტრუქცია თუ რა სახით წარედგინა განცხადება. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოდან პასუხი საჩივრის ფორმასა და შევსების ინსტრუქციასთან ერთად უშუალოდ საჩივრის ავტორს გაეგზავნა. ის ფლობდა დეტალურ ინფორმაციას და უნარებს, რომ ყურადღება მიექცია საქმის მიმდინარეობაზე და არ არსებობდა ისეთი ხელისშემშლელი გარემოება, რაც შეუძლებელს გახდიდა საქმისწარმოების დეტალების გადამოწმებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოდან ინფორმაციის მიღებას.

5.8 განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატ ს. კ.-სთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა გააგრძელა სისხლის სამართლის საქმეზე. ს. კ. საადვოკატო მომსახურებას ახორციელებდა შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმებით, რაც კიდევ უფრო ამყარებს ადვოკატის პოზიციას, რომ კლიენტს აცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის ამოიწურა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და სრულად დაუბრუნა მას ევროპული სასამართლოს საქმის მასალები.

5.9 განხილვის კოლეგიის განმარტებით, მხარე ვალდებულია წარმოადგინოს იმ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რასაც მიიჩნევს სადავოდ. თ. ც.-ს არ წარმოუდგენია იმ სადავო ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ადვოკატმა ს. კ.-მ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები. ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის გაგრძელდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ს. კ.-მ კლიენტის დასაცავად, სრულიად უსასყიდლოდ, კვლავ შიდასახელმწიფოებრივ მექანიზმებს მიმართა, ქმნის საფუძველს, რომ კლიენტი ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა მის საჩივართან დაკავშირებით ევროპულ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებაზე, კმაყოფილი იყო ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურებით და სურდა სწორედ ადვოკატ ს. კ.-ს გაეგრძელებინა მისთვის საადვოკატო მომსახურება საქართველოში მისი მეუღლის სისხლის სამართლის საქმეზე. ბუნებრივია, რომ შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ეფექტიანად გამოყენება და სხვადასხვა უფლებამოსილ ორგანოში საჩივრის წარდგენა განპირობებული იყო ევროპული სასამართლოს მიერ საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმით და ადვოკატმა კლიენტის უფლებების დაცვის/აღდგენის მიზნით კვლავ მიმართა კომპეტენტურ ორგანოებს, რაც განხორციელდა კლიენტის ინფორმირებით და კლიენტის ნების შესაბამისად.

5.10 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევაში გასულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოებაზე შედეგი დადგა 2013 წელს, რაც ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე ცნობილი იყო საჩივრის ავტორისათვის.

5.11 შედეგად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 6.2 მუხლისა და ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლების საფუძველზე.

5.12 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №034/22 ადვოკატ ს. კ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგელობა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/